

ეროსი მანჯგალაძე

ეროსი მანჯგალაძე 1925 წლის 3 მარტს სოფელ დანირში (სამტრედიის რაიონი) დაიბადა. მამა პედაგოგი იყო, დედა კი დიასახლისი. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. 1933 წლიდან მანჯგალაძეების ოჯახი სახოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც სწავლა 34-ე სკოლაში გააგრძელა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1942 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს რადიოკომიტეტში დიქტორის თანამდებობაზე, პარალელურად კი შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სტუდენტად ჩაირიცხა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1947 წლიდან 1948 წლამდე მუშაობდა ცხინვალის სტალინის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. 1948 წელს კვლავ დაბრუნდა თბილისში და რადიოკომიტეტში მუშაობასთან ერთად შ. რუსთაველის თეატრში მსახიობად დაიწყო მოღვაწეობა. რთული ოჯახური პირობების გამო 1949 წელს თეატრიდან წავდა, თუმცა 1951 წლის აპრილში კვლავ დაუბრუნდა თეატრს და სიცოცხლის ბოლომდე აღარ მიუტოვებია.

1980 წელს მუშაობდა კინომსახიობთა თეატრის დირექტორად და მსახიობად. ე. მანჯგალაძის მიერ დიდი ოსტატობით განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია – ივანე მრისხანე (ვ. სოლოვიოვის “დიდი ხელმწიფე”), პეტერი (ი. ფუხინის “ადამიანებო იყავით ფხიზლად”), ზიმზიმოვი (გ. სუნდუკიანის “პეპო”), მაქსიმილიან მორო (ფ. შილერის “ყაჩალები”), ლოპესი (ჯ. ფლერჩერის “ესპანელი მღვდელი”), ყვარყვარე (პ. კაკაბაძის “ყვარყვარე თუთაბერი”), ტარიელ გოლუა (ლ. ქიაჩელის “ტარიელ გოლუა”), გვადი (“ლ. ქიაჩელის “გვადი ბიგვა”), თიდიპოსი (სოფოკლეს “ოიდიპოს მეფე”), აპრაკუნე (ი. ვაკელის “საქმიანი კაცი”), ჟივოტა ცვიოვიჩი (ბ. ნუშიჩის “ფილოსოფიის დოქტორი”), კომენტატორი (კ. ბუაჩიძის “ამბავი სიყვარულისა”), ბოცო კალანდაძე (გ. ხუხაშვილის “ზღვის შვილები”), დათვი (გ. ნახუცრიშვილის “ჭინჭრაქა”), ართავაზა, ისიდორე სალარიძე (ნ. დუმბაძის “მზიანი დამე”, “საბრალდებო დასკვნა”), თავადი ვანო (ავქ. ცაგარელის “ხანუმა”), ირაკლი რაზმაძე, საბა (ა. ჩხაიძის “ხიდი”, “დაბრუნება”), პეტერ შტოკმანი (პ. იბსენის “ექიმი შტოკმანი”), აზდაკი (ბ. ბრეხეტის “კავკასიური ცარცის წრე”) და სხვა. კინომსახიობთა თეატრში განასახიერა: მოხუცი ფეხბურთელი (ლ. ჭელიძის “სმერალდა”), მურომსკი (ა. სუხოვო-კობილინის “საქმე”).

ე. მანჯგალაძე ეროვნული აქტიორული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ძლიერი, ტემპერამენტიანი და დრამატულობით დატვირთული ხმა, სამსახიობო ნიჭთან ერთად მის სავიზიტო ბარათად იქცა. იუმორის გრძნობით გაზავებული როლები დაუვიწყარი ხელოდა მაყურებელთათვის. ხშირ შემთხვევაში მის მიერ განსახიერებულ პერსონაჟთა რეპლიკებს ხალხი მაშინვე აიტაცებდა ხოლმე და დიდი ხნის მანძილზე ტრიალებდა ხალხში. მაყურებლის მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა ეროვნული კოლორიტულობით შექმნილი სახეები: ალექსანდრე (“წარსული ზაფხული”, რეჟ. ნელი ნეხოვა, გენო წულაია), სევერიანი (“თოჯინები იცინიან”, რეჟ. ნიკოლოზ სანიშვილი), აღა გეურქოვი (“ვერის უბნის მელოდიები”, რეჟ. გიორგი შენგელაია), მილიციის განყოფილების უფროსი სამჭკუაშვილი (“ქვევრი”, რეჟ. ირაკლი კვირიკაძე), მდვდელი (“ლონდონი”, თამაზ მელიავა), თავადი შერვაშიძე (“თბილისი-პარიზი-თბილისი”, რეჟ. ლეილა აბაშიძე), გვანჯ აფაქიძე (“მთვარის მოტაცება”, თამაზ მელიავა), დათიკო ხუციშვილი

(“ბოდიში თქვენ გელით სიკვდილი” გუგული (ყარამან) მგელაძე), ბუნბულა (“ნატვრის ხე” თენგიზ აბულაძე).

ე. მანჯგალაძემ დიდი ღვაწლი დასდო ტელე და განსაკუთრებით რადიოთეატრის განვითარებას, სადაც განასახიერა – მამა გორიო (ონორე დე ბალზაკის “მამა იგორი”), მკითხველი (მ. შოლოხოვის “გატეხილი ყამირი”), იაგუპი (ე. რანეტის “ბრაკონიერები”). გაწეული ღვაწლის ნიშნად რადიოთეატრი ეროსი მანჯგალაძის სახელს ატარებს. მისივე სახელობისაა დრამატულ გადაცემათა მთავარი სტუდია. ასევე, სამტრედიის სახელმწიფო თეატრი და სამტრედიის სპორტული სტადიონიც.

ე. მანჯგალაძემ თავისი მაღალპროფესიონალიზმით, ერთ-ერთმა პირველთაგანმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სპორტული კომენტატორის პროფესიას.

1958 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1961 წელს კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

ე. მანჯგალაძე 1982 წლის 26 იანვარს გულის შეტევით გარდაიცვალა. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. ჩვენი მუზეუმის ხელნაწერთა საცავში დაცულია მსახიობის არქივის მცირე ნაწილი, თუმცა მასალა საკმაო ინფორმაციას იძლევა ეროსი მანჯგალაძის, როგორც შემოქმედებითი ასევე ბიოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ.

ეროსი მანჯგალაძის პირადი საარქივო მასალა

ავტობიოგრაფია

1. ეროსი მანჯგალაძე ავტობიოგრაფია.
1954 წ. 9 აპრილი. ავტობიოგრაფია. 2 გვ.

2. ეროსი მანჯგალაძის ავტობიოგრაფია.
უთარიდო. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

3. ეროსი მანჯგალაძის ბიოგრაფიული ცნობარი.
უთარიდო. ბლანკი. ხელით შევსებული. რუსული ენა. 1 ფ.

კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი

4. ეროსი მანჯგალაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1954 წ. 9 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ფოტო. 4 გვ.

5. ეროსი მანჯგალაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1960 წ. 27 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.

6. ეროსი მანჯგალაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1981 წ. 7 სექტემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ერთვის ფოტო. 4 გვ.
(2 ეგზ.)

დახასიათება

7. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციის მიერ გაცემული ეროსი მანჯგალაძის დახასიათება.
1977 წ. 21 ოქტომბერი. ხელს აწერენ: თეატრის დირექტორი – აკ. ბაქრაძე,
პარტბიუროს მდივანი – ეროსი მანჯგალაძე, ადგილკომის თავმჯდომარე – ჭ.
დაღანიძე. ნაბეჭდი. 1 გვ.

მიმართვა

8. საქართველოს კულტურის მინისტრ - ოთარ თაქთაქიშვილის მიმართვა სსრ
კულტურის მინისტრ პ. დუმიჩევისადმი, ეროსი მანჯგალაძის საბჭოთა
კავშირის სახალხო არტისტის წოდებაზე წარდგენასა და მინიჭებასთან
დაკავშირებით.
უთარიდო. ნაბეჭდი. რუსული ენაზე. 2 გვ.

ოქმი

9. ამონაწერი კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტეტის სხდომის ოქმიდან, ეროსი მანჯგალაძისათვის
მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის კინოსა და თეატრში
სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
1981 წ. 8 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსული ენა. ხელს აწერს – ე. გოგიაშვილი.
2 გვ.

სტენოგრაფიული ანგარიში

10. ეროსი მანჯგალაძისა და ნელი მგალობლიშვილის შემოქმედებითი საღამოს
სტენოგრაფიული ანგარიში.
პირი: დოდო ანთაძე, დავით ჩხეიძე, თ. ბაქრაძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ფადავა,
როდიონ ქორქია, ნინო შვანგირაძე, გ. ნაცვლიშვილი, გოგი ტატიშვილი, დ.
ძიგუა, თ. ფერაძე, ალ. აფხაიძე.
1955 წ. 7 მარტი. ნაბეჭდი. აკინძული წიგნის სახით. ხელს აწერს – ნ. ხელაძე.
32 გვ (2 გვზ.)

ნაშრომი ე. მანჯგალაძის შესახებ

11. ალექსანდრე ბურთიკაშვილის ნაშრომი ეროსი მანჯგალაძის მოღვაწეობის
შესახებ. [განხილულია ეროსი მანჯგალაძის მიერ შესრულებული როლები:

1. მაქსიმ გორგი – “მდაბიონი” ტეტერევი.
2. ილია ჭავჭავაძე – “ოთარაანთ ქვრივი” – ომარაანთ მოჯამაგირვა.
3. გ. სუნდუკიანი – “პეპო” – ზიმზიმოვი.
4. ჭ. ფლეტჩერი – “ესპანელი მღვდელი” – ლოპესი
5. აგრეთვე საუბარია სპორტულ კომენტატორობასა და ბიოგრაფიულ ცნობებზე]
უთარილო. ავტოგრაფი. მანქ. ნაბეჭდი რუსულ ენაზე 17 გვ. უთარილო

სტატია

12. ვეფხია სამსონაძე-საგაზეთო სტატია: “განუმეორებელი ეროსი”. სტატია ამოღებულია უურნალიდან: “ჩვენებურები”
ქ. ქუთაისი უთარილო – 4 ფ. მანქ. ნაბეჭდი – ქართული. რუსული ენა

სია

13. მანჯგალაძე ეროსი აკაკის ძე მსახიობი.
შესრულებული როლების სია.
უთარილო – 4 ფ. მანქ. ნაბეჭდი – ქართული. რუსული ენა

მოსაწვევი ბარათები

14. მოსაწვევი ბარათი ეროსი მანჯგალაძისა და ნელი მგალობლიშვილის
შემოქმედებითი სადამო
დასტამბული ქართულ ენაზე. 07.03.1955 წ. 1 ცალი
15. ეროსი მანჯგალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამოს მოსაწვევი ბარათი.
აჭარის რესბუბლიკის წარმომადგენლობაში.
12.11.1999 წ. – 1ც. დასტამბული – ქართულ, ინგლისურ ენ.